პროექტი (ინიციატივა): #გააცოცხლეგურია - გურიის მდგრადი განვითარებისთვის

მიზანი: #გააცოცხლეშემოქმედი - შემოქმედში ვაშლნარის სივრცითი განვითარების იდეა - „ეკოკემპინგი ვაშლნარი“

გურიის რეგიონის მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, გარემოსდაცვითი და ბუნების კონსერვაციის, ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოებისა და ხარისხის სტანდარტის შექმნით ვაშლნარი გადაიქცევა ახალგაზრდულ ეკობანაკად, რომელიც საერთაშორისო დონეზე იქნება გურიის სავიზიტო ბარათი.

ვაშლნარის ინფრასტრუქტურა მოეწყობა საერთაშორისო ეკო კემპინგის (http://www.ecocamping.net) სტანდარტის დაცვით და გათვლილი იქნება შშმ პირებზეც. პროექტის მიზანია აღნიშნულმა სივრცემ მიიღოს საერთაშორისო „ეკო კემპინგის“ სერთიფიკატი.

ლოკაცია საინტერესო გახდება, როგორც სპორტსმენებისთვის, ასევე, საზაფხულო ეკობანაკის, სასკოლო ბანაკის ორგანიზებისთვის და ივენთების, სემინარების, ფესტივალების მოსაწყობად. აღნიშნული ადგილი საინტერესო იქნება ადგილობრივი ახალგაზრდების თემატურ თავშეყრისთვისაც. ვაშლნარში შესაძლებელი იქნება გომის მთით დაინტერესებულ ტურისტების მიღება და დასვენება.

ვაშლნარის ეკობანაკის ხარისხიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო იქნება გარკვეული სერვისების ადგილზე შეთავაზება:

1. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
2. საკვები ობიექტები
3. ნატურალური პროდუქტების, ღვინის და სუვენირების მაღაზია
4. ივენთების ორგანიზების სერვისი
5. ველოსიპედების და კაიაკინგის ნავების გაქირავების და მომსახურების სერვისი
6. და ა.შ.

მსგავსი შეთავაზებების დასაკმაყოფილებლად მოხდება ადგილობრივი მაცხოვრებლების, ბიზნესის, სპორტსმენების და ა.შ. დაკავშირება და ინტეგრაცია, რაც ყველას მოგვცემს შესაძლებლობას ერთად გავაცოცხლოთ გურია.

პროექტის ფარგლებში, დამატებით მოხდება შემოქმედის - მდინარე ბჟუჟის მიმდებარე 5 კმ-იანი მონაკვეთის დეტალური სივრცითი განვითარების გეგმის შემუშავება და განსახილველად წარდგენა პროექტში მონაწილე პარტნიორების ჩართულობით.

პროექტის იდეის მოწონების შემთხვევაში მზად ვართ გონივრულ ვადაში წარმოვადგინოთ პროექტის დეტალური დაგეგმარება.

წარმოდგენისთვის იხ. ფოტო ნიმუშები.

Cool Camping: MiO Made in Ottendorf, Lichtenau-Ottendorf

6 / 10



Cool Camping: Bibertours, Diemitz



Cool Camping: Biohof Gensler, Poppenhausen